პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 45 (13166) | ოთხშაბათი, 24 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.



ხალხის კანდიდატები

საქართველოს მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ეგებებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ძალების შემდგომი განვითარების ვითარებაში. ისეთ ვითარებაში, როცა გაჩაღებულია საყოველთაოსახალხო ბრძოლა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის წარმატებით დამთავრებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

არჩევნებისათვის მზადების ამ ისტორიულ დღეებში ერთხელ კიდევ მთელი სისრულით ვლინდება პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობა, საბჭოთა ადამიანების მზადყოფნა — მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ურყევად განხორციელებას, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ჩვენი სამშობლოს ძლიერების ყველა ღონისძიებით განმტკიცება.

ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანია შეეფიდა ყველაზე მთავარ ეტაპში — დაიწყო დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ამჟამად მიმდინარეობს მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც მიძღვნილია დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი. ამ კრებებზე მგზნებარე სიტყვებით გამოდიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მექანიზატორები, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკები და სტუდენტები. ყველა ისინი — კომუნისტები თუ უპარტიოები — თავიანთ სიტყვებში გამოხატავენ მთელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც დაუღალავად განაგრძოს ბრძოლა კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელებმა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დასახელეს მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე მუშები. წარმოების ნოვატორები, სოფლის მეურნეობის ნარჩინებული ადამიანები — უხვი მოსავლის ოსტატები, რესპუბლიკაში ცნობილი მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. საბჭოთა არმიის გამოჩენილი მეომრები.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელა სექციურო-საკოვე საამქროს გამმოლოები ნათელა გოგია, ამწყობი საამქროს მუშა ლია ბოხჩაძე. ამავე კრებაზე თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ზეინკალი ედუარდ დავთიანი, ზეინკალი გენადი გაგნიძე. მლაქავი ვენერა ჭურხული.

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში, ახალმშენებლობებზე, ტრანსპორტზე, სოფლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გამართულ ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს თავიანთი ღირსეული წარმომადგენლები.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს № 2 სამსხმელო საამქროს სხმულის გამწმენდი უბნის მოწინავე ბრიგადირი გურამ დემეტრაძე. აბრეშუმკომბინატის ფეიქრებმა თავიანთ კანდიდატად წამოაყენეს საქსოვი საამქროს მრავალდაზგოსანი მქსოველი ნინო გოგოლაძე. მე-12 საშუალო სკოლის პედაგოგებმა — ახალგაზრდა მასწავლებელი ლიანა კოსტავა, ფიზიოთერაპიული საავადმყოფოს კოლექტივმა — ექიმი მილიცა ლორთქიფანიძე.

მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრება მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა. კოლმეურნეებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მეცხოველეობის ფერმის გამგე კონსტანტინე ქარაბაკი, ამავე კოლმეურნეობის წევრებმა მაიაკოვსკის სადაბო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს განთქმული მევენახე სოციალისტური შრომის გმირი ვალერიან გარუჩავა.

წითელწყაროს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს ზემოქედის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი იზოლდა სუხაშვილი, ჯაფარიძის კოლმეურნეობის მერგოლური მარიამ გოგილაშვილი.

ჩვენს რესპუბლიკაში წინასაარჩევნო კრებები გრძელდება. ამ კრებებზე ამომრჩევლები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ მოწინავე ადამიანებს, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს, რომლებმაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გმირული შრომით გამოიჩინეს თავი, დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, დაიმსახურეს ხალხის სიყვარული.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ახალი ძალით იჩენს თავს საქართველოს მშრომელთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ერთგულება. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კარგად იციან, რომ მომავალი არჩევნები ხელს შეუწყობს საბჭოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი ორგანიზატორული როლის გაძლიერებას. საბჭოთა ამარების ცალკეულ რგოლებში ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

ახასელებენ რა დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს, ამომრჩევლები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი გაამართლებენ მათს ნდობას ერთსულოვნად ემსახურებიან პარტიის, მთავრობისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, განუხრელად შეასრულებენ ამომრჩეველთა განაწესს.

საქართველოს მშრომელები არჩევნებისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო ძლიერებენ თავიანთ შემოქმედებითს შრომას, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, უფრო მეტად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ამ ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი მასების შემოქმედებითს ინიციატივას, განაზოგადონ და მუშაობაში დანერგონ ყოველივე ახალი, პროგრესული, რაც ხელს შეუწყობს შვიდწლედის წარმატებით დამთავრებას.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც დეპუტატებს ეკისრებათ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. არსებითად არჩევნების დღეებში ყალიბდებიან ხელისუფლების ორგანოები, რომლებმაც უნდა იმოქმედონ მთელი ორი წლის განმავლობაში. ხალხი გზავნის ამ ორგანოებში ყველაზე ავტორიტეტულ, ყველაზე ღირსეულ შვილებს.



ივლისის დასაწყისში ... ...

პარტიული ცხოვრება

საქმის ქვაკუთხედია პრაქტიკასთან კავშირი

საბჭოთა სამეცნიერო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული მშრომელთა მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობასა და იდეურ რწმენაზე. სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს თავის ყოველდღიურ მოღვაწეობას ქალაქ ტყიბულის საწირის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 65 კომუნისტს აერთიანებს. პარტიული ბიურო დიდ ყურადღებას აქცევს იდეოლოგიური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას, სოფლის მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

სკკპ პროგრამისა და წესდების შემსწავლელ წრეში მრავალი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტია გაერთიანებული. წრის პროპაგანდისტია კომუნისტი პედაგოგი გ. მოდებაძე. პოლიტწრეში უკვე მოიწყო 14 მეცადინეობა. მსმენელები უდიდეს აქტივობას იჩენენ პროგრამით გათვალისწინებული მასალების შესწავლისადმი. ყოველი მეცადინეობა საინტერესოდ ეწყობა. აღმოვფხვერთთ შაბლონი და სულელურობა. საკმისაგმი ასეთმა მიდგომამ კარგი შედეგი გამოიღო. პოლიტიკური სწავლება თავის მიზანს აღწევს, იგი მჭიდროდ დაუკავშირდა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

კომუნისტთა ერთი ნაწილი მარქსისტულ-ლენინურ თეორიას წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით ეუფლება. მათ დახმარებლად ეწყობა კონსულტაციები და ლექციები.

იდეოლოგიური მუშაობის კარგად მოწყობა გავლენას ახდენს მატერიალური წარმოების სფეროზე. მოვიყვანთ ასეთ ფაქტებს: საწირის კოლმეურნეობის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს მეჩაიეობას. საწირელებს 84 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გვაქვს. შარშან კოლმეურნეობამ მოკრიფა 322 ტონა ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 294 ტონის ნაცვლად. ეს საშუალოდ ჰექტარზე 3.600 კილოგრამს შეადგენს და ჩვენს პირობებში კარგ მაჩვენებლად ითვლება. მარტო მეჩაიეობიდან კოლმეურნეობამ 264.505 მანეთი შემოსავალი მიიღო.

ჩაის მოსავლიანობის ზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა — მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებამ.

ჩვენმა მეჩაიეებმა ისწავლეს სასუქების ფასი. წინათ ჩაის პლანტაციებში მინერალური სასუქები ბრმად შეგვქონდა. არ ვიცოდით, თუ რომელ ნაკვეთს რა რაოდენობით ესაჭიროებოდა მინერალური სასუქი. ეს ერთი მხრივ იწვევდა ამ ძვირფასი ქიმიური ნივთიერების გადახარჯვას, მეორე მხრივ კი ზედმეტი მინერალური სასუქი აფერხებდა ბუჩქის ზრდა-განვითარებას, ამცირებდა საკრეფი ფოთლის რაოდენობას. ნოვატორმა მეჩაიემ რ. გვენეტაძემ პარტიული ბიუროში დააყენა საკითხი ჩაის ნიადაგების დეტალურად შესწავლისა და კარტოგრამების შედგენის შესახებ. მის წინადადებას კომუნისტებმა ერთხმად დაუჭიეს მხარი. პარტიულმა ბიურომ და კოლმეურნეობის გამგეობამ დახმარებისათვის მიმართეს აგროქიმიური ლაბორატორიის მუშაკებს. ჩვენს თხოვნას მათ ანგარიში გაუწიეს. დაიწყო ჩაის ნიადაგების შემადგენლობის შესწავლა. ამ საქმეში ლაბორატორიის მუშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეჩაიეობის კომუნისტმა ბრიგადირებმა ვ. გვენეტაძემ და ვ. ფორჩხიძემ.

გასული წლის გაზაფხულზე კარტოგრამები უკვე მზად იყო. გამოიკვლა რომ თორმე წინათ უმიზნოდ ვანიავებდით ისეთ მინერალურ სასუქებს, როგორიც ფოსფორი და კალიუმია. ეს უკანასკნელნი შეგვქონდა ისეთ პლანტაციებში, სადაც მათი შეტანა სრულიად არ იყო საჭირო. 1964 წელს ჩაის პლანტაციებში იმდენივე მინერალური სასუქები შევიტანეთ, რაც წინა—1963 წელს, მაგრამ გაცილებით მეტი ეკონომიური ეფექტი მივიღეთ.

პარტიული ბიუროს ყოველდღიური მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების აქტიური, შემტევი პროპაგანდა. ამ ერთი წლის წინათ კოლმეურნეობაში ჩამოვაყალიბეთ მოწინავეთა გამოცდილების სკოლები. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა მეჩაიეობაში შექმნილმა მოწინავეთა გამოცდილების სკოლამ, რომელშიც 18 ქალი იყო გაერთიანებული. ისინი გულმოდგინედ ეუფლებოდნენ კოლმეურნეობის მეჩაიე შუქურის, კომუნისტ უუუუნა ფორჩხიძის მუშაობის გამოცდილებას, ყოველი მეცადინეობა ცოცხალდ ტარდებოდა და უმეტესად ჩაის ნაკვეთებში მიმდინარეობდა.

საწირის კოლმეურნეობაში „მინდვრის დედოფალიც" სათანადო პატივისცემით სარგებლობს. შარშან ეს კულტურა 180 ჰექტარზე გვეთესა. ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობამ გადაკარბებით შეასრულა სიმინდის მოსავლიანობის დავალება. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა კოლმეურნეთა შორის აგრონომიული მეცნიერების ფართო პროპაგანდამ. არტელში ჩამოყალიბებული იყო აგროქიმიის შემსწავლელი ორი წრე, რომლებშიც 120-ზე მეტი კაცი სწავლობდა.

წრეებში მეცადინეობის დროს კოლმეურნეები განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას „მინდვრის დედოფლის" მოსავლიანობის ამაღლების ფაქტორებზე. ახლა საგაზაფხულო თესვისათვის გაცნოველებით ვემზადებით. წელს, ისევე როგორც შარშან, დავთესავთ მხოლოდ ყველაზე მაღალ მოსავლიან სიმინდს.

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სწორად მოწყობას. ბრიგადებში, რგოლებსა და მეცხოველეობის ფერმებში საagიტაციო მუშაობას ეწევა 18 agიტატორი და 23 წამკითხველ-მოსაუბრე. მათი უმრავლესობა კარგად არიმზეული თავს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მაგრამ საagიტაციო მუშაობა მაინც ყველაზე კარგად არის დაყენებული მეორე და მეოთხე ბრიგადებში. მეორე ბრიგადაში წლების განმავლობაში agიტაციას ეწევა პარტიის წევრობის კანდიდატი ლ. გვენეტაძე, ხოლო მეოთხე ბრიგადაში — კომკავშირელი ჯ. გვენეტაძე. ჯ. გვენეტაძე შესანიშნავად agითავსებს ერთმანეთთან კოლმეურნეობაში ფიზიკურ შრომას და ქუთაისის პედagოგიური ინსტიტუტის დაუხურებელ განყოფილებაზე სწავლას. კომკავშირელ გოგონას 3.000 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია აქვს მოსავლელად მიჩენილი. შარშან მან ჩაის ფოთლის მაღალი მოსავალი მიიღო.

ბევრი agიტატორი პირად შრომითს მაგალითს აძლევს მასებს საწარმოო დავალებათა შესრულებაში. ესენი არიან პარტიის წევრობის კანდიდატები უ. ცინრეკიძე, ბ. ცირეკიძე, ო. კუპატაძე, და სხვები.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ხელში მძლავრი იარაღია კედლის გაზეთი. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ცხარე დღეებში ვუშვებთ საველე ფურცლებს. კოლმეურნეობის კანტორის ეზოში მოწყობილი გვაქვს მოწინავეთა დაფა და საagზეთო ვიტრინა.

ხაწირელ კოლმეურნეებს კულტურული დასვენების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. კოლმეურნეთა განკარგულებაშია საუკეთესო, კეთილმოწყობილი კლუბი, ჭდიადრი ბიბლიოთეკა, კინო. კლუბთან ჩამოყალიბებულია თვითმოქმედი წრეები. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა დრამატული წრე, რომელსაც უნარიანი ქალიშვილი ვ. დარაბელიძე ხელმძღვანელობს. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე დრამატულმა წრემ სამი ახალი პიესა დადგა. აქაური სცენისმოყვარეები მომსახურებას უწევენ მეზობელი სოფლების კოლმეურნეებსაც. მაგალითად, მათ სპექტაკლები უჩვენეს ახალსოფელსა და ძიროვანში.

კოლმეურნეები ქმაყოფილი არიან საკოლმეურნეო კლუბთან შექმნილი agიტმხატვრული ბრიგადის მუშაობით. შარშან agიტმხატვრულმა ბრიგადამ ადგილზე და საზაფხულო საძოვრებზე მყოფი მწყემსებისათვის გამართა 14 კონცერტი: მოიწყო თემატური საღამო თემაზე: „ქმნია ხალხის საშსახურში".

იდეოლოგიური მუშაობის ახლებურად დაყენებისათვის ბრძოლაში სოფლის კომუნისტები მთელ რიგ ისეთ დაბრკოლებებსაც ვაწყდებით, რომელთა გადალახვა მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ავიღოთ, მაგალითად, პოლიტიკური განათლების ქსელი. როგორც ზემოთაც ავნიშნე, საწირელი კომუნისტები მიმდინარე წელს სკკპ პროგრამასა და წესდებას სწავლობენ. მსმენელებს სჭირდებათ დამხმარე ლიტერატურა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები. სოფლად კი ასეთი ლიტერატურის შოვნა არც თუ ისე იოლია. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ აღნიშნული ტიპის წრისათვის შედგენილ იქნება მარტივი. გასაგები ენით დაწერილი სახელმძღვანელო. ამით პარტიული სწავლების საქმე უეჭველად მოიგებს.

ანდა ავიღოთ სასოფლო კლუბები. ახლა ძნელად მოძებნით ისეთ სოფელს, რომელსაც არ ჰქონდეს კლუბი ან სადაც შექმნილი არ იყოს დრამატული წრე. ეს კარგი, მაგრამ ცუდი ის არის, რომ დრამატული წრის წევრებს არა აქვთ მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალება. მათ არ ძალუძთ კლასიკოსთა პიესების დადგმა, ხოლო თანამედროვე თემებზე დაწერილი ერთ-ორმოქმედებიანი პიესები ცოტა გვაქვს.

ჩვენ, მართალია, ვეწევით მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, მაგრამ ძირითადად ვიფარგლებით ადგილობრივი შუქურებით. კოლმეურნეებისათვის კი საინტერესოა აგრეთვე სხვა რაიონების მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა.

ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ პოპულარულ ბროშურებს. მაგრამ ისეთ ბროშურებს, საიდანაც შეიძლება კაცმა რამე ისწავლოს, ეფიქრობ. ცოტას უშვებენ ჩვენი გამომცემლობები.

კ. კერესელიძე,
ქ. ტყიბულის საწირის კოლმეურნეობის პარტიეროს მდივანი.

დაუნდობელი ბრძოლა საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევებს

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონისა და თერჯოლის რაიკომების პლენუმებზე

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. შ. ჭანუყვაძის მოხსენება — ზესტაფონის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სავაჭრო ორგანიზაციებში კაფსლანგვა-მტაცებლობისა და სხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1965 წლის 16 თებერვლის დადგენილების შესაბამისად.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება და აღნიშნა, რომ ზესტაფონის პარტიული, საბჭოთა და აღმასრულებელი ორგანოებიც უყურადღებობითა და უკოტრულობით რაიკომპაკავშირში დაშვებული იყო კოოპერაციული ქოხების დიდძალი გაფლანგვა-დატაცების, საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისა და სხვა ბოროტმოქმედებათა ფაქტები.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიკომის ბიუროო, რაიონმასკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ ვაჭრობაში კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს, სერიოზულად არ მსჯელობდნენ სამომხმარებელო კოოპერაციის მუშაობის საკითხებზე, რის გამოც რაიონში ფართო ხასიათი მიიღო კოოპერაციული საკუთრების გაფლანგვა-განიავებამ და სხვა ბოროტმოქმედებებმა.

რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივი მობილიზებული არ იყო დარღვევებისა და დამახინჯებებია წინააღმდეგ საბრძოლველად, სათანადოდ არ ხმაურობდა ამ ანტისოციალურ მოვლენებთან ბრძოლა, ეფექტურ ზომებს, ეფექტურ ბრძოლას, ეფექტურ ბრძოლას, ეფექტურ ბრძოლას

ყოველი მხრიდან

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 22 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო ხომალდები და თვითმფრინავები შეუწყნარებელ და საშიშ მოქმედებას სჩადიან საბჭოთა გემების მიმართ ღია ზღვაში.

ნოტაში ნათქვამია, რომ ამ ბოლო დროს კვლავ გახშირდა შემთხვევები, როცა საბჭოთა გემებისათვის საშიშ სიახლოვეს ამერიკის სამხედრო ხომალდების მანევრირების შედეგად იქმნებოდა შეჯახების საფრთხე. ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები კვლავ თავს დასტრიალებდნენ საბჭოთა გემებს, ხშირად კი ფრენენ ისეთ მცირე სიმაღლეზე, რაც საშიშია ამ გემებისათვის. ნოტაში მოყვანილია კონკრეტული მაგალითები ასეთი პროვოკაციული მოქმედებისა საბჭოთა გემების მიმართ, როგორიცაა: „პორონაისკი", „გორკი", „ი. ბ. ზოყალსკი", „თეოდორე პოლტავევი", „დალნი"; „ჩერნიახოვსკი".

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, გადაწერით აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები და თვითმფრინავები ასეთ მოქმედებას სჩადიან საბჭოთა გემების მიმართ ღია ზღვაში და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განაზორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა აღკვეთოს მომავალში ასეთი მოქმედება. სსრ კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ასეთი მოქმედების შესაძლო შედეგებისათვის. (საკდესი).

საგზოთა პარლამენტარეგი ინდოეთში

დელი, 23 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის საპარლამენტო საქმეთა მინისტრის სატია ნარაიან სინჰის მოწვევით დღეს ინდოეთში ორი კვირის ვიზიტად ჩამოვიდა შუა აზიისა და ამერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტარების დელეგაცია.

თანამშრომლობა ეითარდება

ლონდონი, 22 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე ბულგარეთის დელეგაციის ინგლისში ყოფნის შესახებ. დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სტანკო ტოდოროვი.

კომუნიკეში აღნიშნულია: ორივე მხარემ აღიარა, რომ ბოლო წლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საერთაშორისო ნდობის განმტკიცებისათვის და მიეიღნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა კვლავ განხორციელდეს სასწრაფო ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

ორივე მხარემ დაადასტურა თავიანთი მთავრობების განზრახვა კვლავაც იბრძოლონ მშვიდობისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. კომუნიკეში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საჭიროა გაფართოვდეს ვაჭრობა ბულგარეთსა და ინგლისს შორის.

მეგობრობის განსამტკიცებლად

კაირო, 23 თებერვალი. (საკდესი). „არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება", — განუცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა გაზეთ „ალ-ახრამს". მან დიდად შეაფასა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მოღვაწეობა.

შეეხო რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შესაძლებლობებს, ვალტერ ულბრიხტმა თქვა: „არის კარგი შესაძლებლობანი იმისა, რომ ერთად ვითანამშრომლოთ ეკონომიკის დარგში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეისწავლა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამრეწველო განვითარების გეგმები და ამ გეგმების ფარგლებში თავიისი მონაწილეობის შესაძლებლობანი. ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდება მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის დარგებში".

შეეხო რა მტრულ კამპანიას, რასაც ბონის მმართველი წრეები აღვივებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ვალტერ ულბრიხტმა აღნიშნა: „თქვენს ქვეყანას ნორმალური ურთიერთობა აქვს ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან. ჩვენ არ ვაპირებთ მოვითხოვოთ, რომ არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ურთიერთობა გაწყვიტოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისევე როგორც არ ვაპირებთ მოვითხოვოთ, რომ თქვენი მთავრობა რამენაირად მიემხრის რომელიმე მხარეს ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის არსებულ უთანხმოებებში".

„იმის გამო, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არის ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი სისტემა, მიგვაჩნია, რომ გერმანიის გაერთიანების რეალისტური გზაა ამ ორი სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნა", — ასე უპასუხა ვალტერ ულბრიხტმა კითხვაზე გერმანიის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. „მაგრამ, — საზგასმით აღნიშნა მან, — დასავლეთ გერმანიას არ სურს, რომ მშვიდობიანი გზით გაერთიანდეს გერმანია".

ვალტერ ულბრიხტმა აღნიშნა, რომ დასავლეთის ცდები, ატომური იარაღით აღჭურვოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრთხეს უქმნის არა მარტო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს, არამედ არაბულ ქვეყნებსაც. მაგალითად მან მოიყვანა საიდუმლო შეთანხმება, რომლის საფუძველზე ბონი ტანკებითა და სხვა სამხედრო მასალებით ამარაგებს ისრაელს. „მთელი გერმანელი ხალხის სახელით მოვითხოვ ბონის მთავრობისაგან დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს სამხედრო დახმარება ისრაელს და გააუქმოს მასთან დადებული სამხედრო შეთანხმებანი", — თქვა მან.

„დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, როცა დემოკრატიული ძალები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შიგნით შექმნიან ხელშემწყობ პირობებს იმისათვის, რომ ნამდვილი მეგობრობა დამყარდეს არაბ ხალხებთან", — განაცხადა ვალტერ ულბრიხტმა.

ვალტერ ულბრიხტმა გადაჭრით დაგმო ბინძური ომი. რასაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამში, და ამერიკის მხედრიონის აგრესიული აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. „მტკიცედ გვწამს, რომ ვიეტნამელი ხალხი დაამარცხებს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმსა და მის მარიონეტებს", — განაცხადა ვალტერ ულბრიხტმა.

ამერიკელი პოლიტიკოსები ცდილობენ აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გაამართლონ სიტყვებით „მშვიდობისა და თავისუფლების დაცვის" შესახებ.

• • •

ვაშინგტონის მშვიდობის პალატის რტო. ნახატი შრადესი („ნოიეს ლოიჩლანდი").

ალბანეთისადმი მიმართვა

ტელ-ავივი, 22 თებერვალი. (საკდესი). ისრაელის კომუნისტურმა პარტიამ გუშინ გამოაქვეყნა მოწოდება ხალხისადმი. კომპარტია მოუწოდებს ხალხს მოითხოვოს, რომ გააუქმონ ბონთან დადებული ყველა შეთანხმება ისრაელისათვის იარაღის მიწოდების შესახებ, გააძლიეროს ბრძოლა დასავლეთ გერმანიის ატომური იარაღით აღჭურვის წინააღმდეგ, აგრეთვე გაშალოს საპროტესტო კამპანია იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას განზრახული აქვს შეწყვიტოს ნაცისტ დამნაშავეთა სასამართლო დევნა.

კომპარტია აგრეთვე მოუწოდებს ხალხს იბრძოლოს ისრაელის საგარეო პოლიტიკის შეცვლისათვის მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ.

ოკეანეში

ამერიკელ ჯარისკაცებს

... ...

... ...

... ...

დღეს აბაშაში



აბაშის მარკით — უცხოეთში

აბაშის მექანიკური ქარხანა ძირითადად ავტომანქანა „კაზ-ნნნ“ მარკის სათადარიგო ნაწილებს ამზადებს. შარშან ქარხანამ გეგმის ზევით გამოუშვა 7 ათასი მანეთის პროდუქცია, რომელიც დაეგზავნა სოფლისა და ქალაქის 150 მომხმარებელ ორგანიზაციას.

ამასთანავე ქარხანა უშვებს საექსპორტო დეტალებს, რომლებიც ეგზავნებათ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, ავღანეთს, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, ინდონეზიას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და სხვა ქვეყნებს.

წელს ქარხანამ უცხოეთის ქვეყნებიდან მიიღო ბევრი დაკვეთა მანქანების სათადარიგო ნაწილებზე.

მოსკოვისა და ლენინგრადის მსხვილი საწარმოების პატრიოტული ინიციატივის პასუხად აბაშის მექანიკური ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს გამოუშვას მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

რესპუბლიკაში კირველი

ამ ორიოდე წლის წინათ აბაშის ეთერზეთების ქარხანასთან შეიქმნა იზოველენოლიის საამქრო. ამ პროდუქტს ფართოდ იყენებენ პარფიუმერიაში. საუკეთესო სურნელების იზოველენოლი იგზავნება ჩვენი სამშობლოს დიდ სამრეწველო ცენტრებში.

შარშან 3.800 კილოგრამი უმაღლესი ხარისხის იზოველენოლი ქარხანამ გაგზავნა ადრეთვე ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში.

წელს ქარხანამ საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, კუბიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, იუგოსლავიიდან და პოლონეთიდან ახალი დაკვეთები მიიღო. ამ ქვეყნებში გაიგზავნება 1.629 ათასი მანეთის ეს ძვირფასი პროდუქცია.

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ტყვირის კოლმეურნეობა რაიონში მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო არტელია.

მაგრამ არტელის ძირითადი შემოსავლის წყარო მაინც გერანი და რეჭანია. შარშან კოლმეურნეობამ მარტო ამ კულტურებიდან 31 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

მესამე ბრიგადამ 50 ცენტნერი რეჭანის მასის ნაცვლად 160 ცენტნერი მიიღო. ასევე დიდი მოსავალი მოიყვანეს პირველმა და მეორე ბრიგადებმა.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

სასიხარულო სიახლენი

ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი აბაშა. ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში დაიგო 50 ათას ძირზე მეტი დეკორაციული და ფოთლოვანი მცენარე. ქალაქის მთელი მოსახლეობა საკრმიდამო ნაკვეთებში და ქუჩებში რგავს ხეხილს, აწყობს ყვავილნარებს და სხვ.

მშენებლობაც ფართოდ არის გაშლილი. ორი თორმეტ-თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა ჩიქოვანისა და 25 თებერვლის ქუჩებზე. ახლახან სამშობიარო სახლს გადაეცა ორსართულიანი შენობა, რომლის რეკონსტრუქციისათვის 12 ათასი მანეთი დაიხარჯა. საექსპლოატაციოდ გადაეცა მასწავლებლებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლი.

ქალაქის ქუჩები დამშვენებულია ლამპიონებით. დღის განათება მოეწყო ლენინის, მშვიდობის, ფრანგიშვილისა და ჩიქოვანის ქუჩებზე.

ქალაქის მომავალი კიდევ უკეთესი იქნება. მშენებლობის პროცესშია და წელსვე გადაეცემა საექსპლოატაციოდ მექანიზებული პურსაცხობი.



აბაშა. ლენინის ქუჩა. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მექანიზატორთა წარმატება

ზვიდწლედის მეშვიდე წელს განსაკუთრებით კარგად მუშაობენ აბაშელი მექანიზატორები. საკოლმეურნეო სოფლში ერთი წუთითაც არ ცხრება შრომის ტემპი. განსაკუთრებით დიდი საზრუნავი აქვთ მექანიზატორებს.

აბაშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა ვ. კაჭარავამ, ღ. კაჭარავამ, ბ. ჩაგანავამ, რ. ჯოჯუამ, მზრალად 400 ჰექტარზე მეტი მოხნეს.

კარგად იმუშავეს სუჯუნის ორჯონიკიძის, ონტოფოს, ნაესაკოვოს, ტყვირის და სხვა კოლმეურნეობების მექანიზატორებმა.

დაუსწრებლად...

რაიონის 300-მდე ახალგაზრდა დაუსწრებლად ეუფლება უმაღლეს განათლებას.

ტყვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. მინდაძე სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში სწავლობს. ამავე კოლმეურნეობის მესამინდე თინა გიგინეიშვილი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტია, თემურ ლასარიაშვილი კი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ამთავრებს.

ᲓᲘᲓᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ — ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

მოსკოვი. (საკუთარი კორ.). სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვა „საბჭოთა პრესის“ პავილიონის 1964 წლის გამოფენის მონაწილე ექსპონენტთა დიდი ჯგუფი. დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტში საპატიო სიგელები გადასცეს დაჯილდოებულთ. ჯილდოები გადასცა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს პრესის სექციის თავმჯდომარემ კ. მ. ბოგოლუბოვმა.

ᲐᲮᲐᲞᲐᲠᲘᲝ ᲓᲘᲐᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲗ „ᲣᲠᲐᲚᲡᲘᲐ ᲠᲐᲑᲝᲩᲘᲡ“. ᲡᲐᲠᲐᲤᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲗ „ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘ“ — ᲒᲐᲖᲘᲗ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ. ᲑᲝᲚᲝᲝ ᲐᲛ ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲜᲝᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Კ. ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲔᲜᲯᲘᲡ.

მეორე ხარისხის დიპლომი მიანიჭეს ჟურნალ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტს“ — გაზეთ „პრავდის“ გამოცემას. ხოლო ამ ჟურნალის მუშაორთა საბჭოს თავმჯდომარე — ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის ხარატი ა. კუბარევი დაჯილდოებულია ოქროს medlebi.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით დაჯილდოებულთა შორის არიან პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ნ. ტროპკინი, გამომცემლობა „მისლის“ დირექტორი ა. პორიეკეევი, სტამბა „კრასნი პროლეტარის“ ავტომატების მთავარი გამმართველი ვ. ვასილიევი და ბევრი სხვა.

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲝᲠᲨᲐᲒᲘᲠᲘᲡ რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში [illegible] ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ [illegible] კოლმეურნეებს.

წარმატებით მუშაობს ურთიერთდამხმარე სალარო სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოში“. მისი წლიური საბრუნავი თანხა 50 ათას მანეთს შეადგენს. 1200 კოლმეურნე სარგებლობს სალაროს პროფმომსახურებით.

გარდა იმისა, რომ სალარო ფულს აძლევს კოლმეურნეებს, მას თავის განკარგულებაში აქვს მარცვლეული, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურები.

მ. ᲗᲝᲥᲕᲣᲐ.

მკითხველის კალმით

△ **თიანეთის** მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო მეთოდურ კაბინეტთან ერთად ამ დღეებში მოაწყო პირველი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს პარტიის თიანეთის რაიკომის მდივანმა ნ. მგელიაშვილმა, პროფესორმა მ. ძველაიამ, ვ. აბრამიშვილმა, მუზეუმის დირექტორმა ი. ბეჟანიშვილმა.

ᲕᲚ. ᲥᲘᲡᲐᲣᲠᲘ.

△ **ქართული** მარგანეცის ქალაქის — ჭიათურის მოსწავლეთა და პიონერთა სახლში მოეწყო ნორჩ მხატვართა გამოფენა. წარმოდგენილი იყო სამავშვო ბალიბისა და პირველი — მეექვსე კლასების მოსწავლეთა 500-მდე ნამუშევარი.

ახლახან შეჯამეს ბავშვების შემოქმედების გამოფენის შედეგები. 41 ნახატმა ქების სიგელი და ფასიანი ჯილდო დაიმსახურა.

მ. ᲩᲐᲮᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲘᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲘᲫᲜᲔᲑ ᲤᲘᲜᲘᲨᲛᲐ...

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

გუშინ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე ქალათბურთელ ქალთა და ვაჟთა უძლიერესმა კოლექტივებმა განაახლეს ბრძოლა. ეს არის პირველობის მეორე წრე, ანუ დასკვნითი შეხვედრები, რომლის შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საპრიზო, არამედ მომდევნო ადგილების განაწილებაში.

მეორე წრის ნახევრის მატჩები გაიმართება 28 თებერვლამდე, პრიზიორები კი გამოვლინდება მარტში. შეხვედრები მიმდინარეობს: ქალთა გუნდებისათვის — ტალინსა და სვერდლოვსკში, ვაჟთა გუნდებისათვის — თბილისსა და ალმა-ატაში.

ყურადღების ცენტრში დგას ვაჟთა გუნდების თამაშები თბილისში.

ჩემპიონატის ლიდერმა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა ამჯერადაც წარმატებით ითამაშა და დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ ანგარიშით 79:60. რიგის ვეფ-მა მოუგო მინსკის „სპარტაკს“ 82:67.

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ კიევის სკა-სა და თბილისის „დინამოს“ მატჩს. მეტოქეთა სასტარტო ხუთეული ასე გამოიყურებოდა: **ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲙᲐ** — ვოლკოვი, ჩეჩოტა, სალაუხინი, შოვკოშლიასი, სუშაკი; **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“** — ლეჟავა, მინაშვილი, უგრეხელიძე, სხიერელი, საკანდელიძე.

ანგარიში სხიერელმა გახსნა, შემდეგ კი ლეჟავამ იგი 4:0 გახადა, მაგრამ კარგ დასაწყისს ხორცის შესხმა სჭირდებოდა, სტუმრებმა შეძლეს ბრძოლაში გარდატეხის შეტანა. მე-7 წუთისათვის კიეველებმა წონასწორობა აღადგინეს — 10:10, შემდეგ კი დაწინაურდნენ, მე-13 წუთისათვის ტაბლოზე კვლავ თანაბარ ციფრებს ვხედავდით — 20:20. ხოლო წუთებში ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და მოიგეს ტაიმი 38:30.

მეორე ნახევარში დინამოელებმა შეინარჩუნეს უპირატესობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 85:60.

ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ჩეჩოტა, რომელმაც თავის გუნდს 26 ქულა მოუტანა. დინამოელებიდან უკეთესები იყვნენ ლეჟავა (19 ქულა) და კაზანჯიანი (18 ქულა).

როგორც ცნობილია პირველ წრეში თბილისის დინამოელთა შედეგები არც თუ სახარბიელო იყო, იქნებ ფინიშის მატჩებში შეძლონ მათ სასურველი შედეგების მოპოვება.

ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ — ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

მოსკოვი. (საკუთარი კორ.). სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვა „საბჭოთა პრესის“ პავილიონის 1964 წლის გამოფენის მონაწილე ექსპონენტთა დიდი ჯგუფი. დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტში საპატიო სიგელები გადასცეს დაჯილდოებულთ. ჯილდოები გადასცა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს პრესის სექციის თავმჯდომარემ კ. მ. ბოგოლუბოვმა.

ᲐᲮᲐᲞᲐᲠᲘᲝ ᲓᲘᲐᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲗ „ᲣᲠᲐᲚᲡᲘᲐ ᲠᲐᲑᲝᲩᲘᲡ“. ᲡᲐᲠᲐᲤᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲗ „ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘ“ — ᲒᲐᲖᲘᲗ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ. ᲑᲝᲚᲝᲝ ᲐᲛ ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲜᲝᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Კ. ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲔᲜᲯᲘᲡ.

მეორე ხარისხის დიპლომი მიანიჭეს ჟურნალ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტს“ — გაზეთ „პრავდის“ გამოცემას. ხოლო ამ ჟურნალის მუშაორთა საბჭოს თავმჯდომარე — ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის ხარატი ა. კუბარევი დაჯილდოებულია ოქროს medlebi.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით დაჯილდოებულთა შორის არიან პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ნ. ტროპკინი, გამომცემლობა „მისლის“ დირექტორი ა. პორიეკეევი, სტამბა „კრასნი პროლეტარის“ ავტომატების მთავარი გამმართველი ვ. ვასილიევი და ბევრი სხვა.

ᲛᲘᲙᲘᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რაიონგზის მაგისტრალის ულამაზეს მონაკვეთზე — ადლერიდან სოხუმამდე, რომელიც დასერილია გვირაბებით, ხიდებითა და ესტაკადებით, მომდინარეობს მოძრაობის ავტომატიზაცია.

ისრების მართვა სადგურებში და მატარებლების გაშვება გადასარბენზე ხორციელდება უახლესი ავტომატური საშუალებით, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოძრაობის უსაშიშროებას.

ამჟამად ავტომატური მოწყობილობა მონტაჟდება ამიერკავკასიის რკინიგზის მეორე უბანზე — სოხუმიდან სამტრედიამდე.

ყოფილი მეისრეები ეუფლებიან ახალ პროფესიებს, ხდებიან კავშირგაბმულობის, ელექტროსიგნალიზაციისა და მოძრაობის ცენტრალიზაციის მექანიკოსები და მონტიორები.

3. ᲝᲜᲘᲐᲜᲘ — ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგემ **ვასილ სარდიონის-ძე ონიანმა** სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. ონიანისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ᲜᲐᲞᲠᲔᲒᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩებისათვის. 26 თებერვალს ჩვენი ნაკრები 26 კაცის შემადგენლობით გაეგზავნება იუგოსლავიაში, სადაც ადგილობრივ უძლიერეს საკლუბო გუნდებთან გამართავს საერთაშორისო მატჩებს.

ნაკრების შემადგენლობაში არიან: **მეკარეები** — ლ. იაშინი, ვ. ბანიკოვი; ს. კრამარენკო; **მცველები** — ა. ჩერტკოვი, ი. რიომინი, ა. შესტერნიოვი, ვ. შუსტიკოვი, ვ. სოსნიხინი, ვ. პონომარიოვი, ვ. ბრუხტი; **ნახევარმცველები** — ვ. ეფრონინი, ა. ესკოვი, გ. სიჭინავა, გ. ლოგოფეტი; **თავდამსხმელები** — ი. ჩისლენკო, გ. მატვეევი, ყ. ტუაევი, ვ. ივანოვი, ბ. კაზაკოვი, ა. ბანიშევსკი, ს. მეტრეველი, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. მიხაილოვი, მ. მესხი, გ. ჰუსაინოვი, ვ. ხმელნაცკი.

ჩვენი პირველი ნაკრები **8 მარტს** ითამაშებს ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“, **10 მარტს** — სპლიტში „ჰაიდუკთან“, **17 მარტს** — სარაევოში ადგილობრივ გუნდთან“, **21 მარტს** — ნიმში „რადნიჩკისთან“; მეორე ნაკრებს მატჩები ექნება **9, 16 და 21 მარტს** მოსტარიში, მარბორსა და კრადუევაცში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ჩვენი შტანგისტებისათვის ახალი სპორტული სეზონი ოქმალობით დაიწყო. ყოველ შეჯიბრებას წარმატება მოსდევს, ამყარებენ საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს.

ხაბაროვსკში გამართულ არმიელ ძალოსანთა ტურნირზე დიდ წარმატებას მიაღწია ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ერთ-ერთმა გმირმა უმცროსმა ლეიტენანტმა **ვ. გოლოვანოვმა.** ამავეში მან დაამყარა **ახალი მსოფლიო რეკორდი** ქვეძმიე წონის შტანგისტთა შორის, რაც **168 კილოგრამს უდრის.** წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა ვ. ლიხს და უდრიდა 167.5 კილოგრამს.

ვ. გოლოვანოვმა ეს რეკორდი უძღვნა საბჭოთა არმიის დღეს.

ᲠᲐ ᲛᲝᲔᲚᲘᲗ ᲒᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲔᲑᲡ?

რეგორც ბელგრადის „ფუდბალი“ იუწყება, მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბრაზილიის ნაკრებისაგან თითქმის აღარაფერი დარჩება. ფეხბურთელებით მოვაჭრეებს უკვე წინასწარი მოლაპარაკება აქვთ გამართული ბრაზილიელ „ვარსკვლავებთან“ და ზოგი მათგანი გადაბირეს კიდეც.

გაზეთის ცნობით, პელე 1966 წლიდან მილანის „ინტერნაციონალეში“ ამოქყოფს თავს, გარინჩა კი ტურინის „იუვენტუსში“. აქვე გადავა „მილანიდან“ ცნობილი სანაიერი ალტაფანიც. ამას უნდა დაეუმატოთ, რომ იტალიაში უკვე კარგა ხანია თამაშობენ ბრაზილიელები ჟაირი („ინტერნაციონალე“) და ამარილდო („მილანი“). მილანის „ინტერნაციონალის“ ერერას ნაცვლად სათავეში ჩაუდგება ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი პიმორე მორეირა.

თვით ვეტერანი დიდიც კი დატოვებს ბრაზილიას და მორიგ „ემიგრაციაში“ გაემგზავრება. მისმა კლუბმა „ბოტაფოგომ“ ჯადაწყვიტა დიდი მექსიკელებს „დაუთმოს“.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ᲘᲮᲐᲠᲔ, ᲜᲔᲠᲒᲝ!

ᲨᲔᲛᲠᲩᲔᲚᲘ გვსმენია წინათ: ტექნიკუმის კონტინგენტი ვერ შეგვივსიაო. დასამალავი არ არის, რომ ზოგიერთ საშუალო სპეციალურ სასწავლებელს მართლაც უჭირდა დაკომპლექტება. დიდი ჯიხაიშის საერდენ-საჩვენებელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმზე კი ეს არ ითქმის. აქ ყოველ ახალ სასწავლო წელს ყველა განყოფილებაზე მეცადინეობას იწყებს ახალმიღებულ, მკაცრად შერჩეულ მოსწავლეთა სრული რაოდენობა. მისაღები გამოცდები მიმდინარეობს დინჯად, აუღელვებლად. მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულნი ბედნიერდებიან ჩარიცხვით, არავითარი დათმობა, არავითარი შეღავათი იმის შიშით, ვაითუ ვერ მოვაგროვოთ ჩასარიცხავთა გთვალისწინებული რიცხვი. პირიქით, ბევრი ახალგაზრდა ქულათა ნაკლებობის, უფრო იშვიათად — ჩაჭრის გამო ვერ ხვდება ტექნიკუმში.

ჯერ კიდევ სულ ახალი დამთავრებულია სკოლებში სასწავლო წელი, დიდჯიხაიშელებს კი უკვე ამოძრავებული აქვთ თავიანთი ტექნიკუმში საუკეთესოთა მოსაზიდავი ყველა საშუალება: განცხადებები და რეკლამები, საუბრები და საღამოები, მივლინებები და მიწერ-მოწერა, ეგრეთწოდებული ღია კარის დღე და მრავალი სხვა საინტერესო ღონისძიება. ესენი მხოლოდ ერთ მიზანს — ტექნიკუმში ღირსეული ახალგაზრდობის მოზიდვას როდი ემსახურება. ყველა ეს ღონისძიება სოფლის ახალგაზრდობის აღზრდის საუკეთესო იარაღი ხდება.

— მობრძანდით ღია კარის დღეს... ჩვენს ტექნიკუმში! — მშობლიური დაყვავებით მიმართავს პედაგოგიკური ახალგაზრდას.

და აი ამ ღია კარის დღეს იგი მრავალ მოსვენ საინტერესო ამბავს ეცნობა ტექნიკუმის ისტორიიდან, რომელიც აგერ ოცდაშვიდ წელიწადს ითვლის! (საგულისხმოა, რომ ამ ქვედან ოცდაათი წელიწადია მას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი პოლიკარპე მიქაძე).

ტექნიკუმს 7, 8, 9 — კლასდამთავრებულთათვის აქვს აგროქიმიური, დეკორაციული (გამწვანების), საბუხალტრო, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის მეცადინეობა-მევეწნახეობის, საბუხალტრო, საგეგმო და საარიცხვო განყოფილებები. ტექნიკუმი ამზადებს აგრონომებს მემინდვრეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მევეწნახეობის, ჩაისა და სუბტროპიკული, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის სპეციალობათ, აგროქიმიკოსებს, ქალაქისა და სოფლის გამწვანების ტექნიკოსებს, სოფლის მეურნეობის მეგეგმაგეებსა და ბუხალტრებს; ტექნიკუმი ამზადებს მომიჯნავე პროფესიის სპეციალისტებსაც: ტრაქტორისტებს, ავტომყვარულებს და ფიზკულტურის საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს. ტექნიკუმში ყოველწლიურად სწავლობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული 600-ზე მეტი ახალგაზრდა.

ახალგაზრდა, რომელსაც ჯერაც ვერ გადაუწყვეტია საით წავიდეს სასწავლად, მიაყვება ამ კეთილ მიპატიჟებას ღია კარის დღეზე. გზაჯვარედინზე მდგომს, ამ ორჭოფობის წუთებში მას სძლევს აღერსიანი სიტყვები: — გირჩევთ აღნიშნულ დღეს ჩამოხვიდეთ დიდ ჯიხაიშში და ნახოთ ტექნიკუმი, მისი კაბინეტები, ლაბორატორიები, სასწავლო მეურნეობა, კულტურის სახლი, სპორტული ბაზები და მოისმინოთ საუბარი იმ დარგების შესახებ, რომელთა სპეციალისტებსაც ტექნიკუმი ამზადებს. მაშ, გელოდებით!

სპეციალობა, პროფესია! ჯაბუკს ჯერ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მისი არჩევის მნიშვნელობაზე, მის წინ ხომ დროის უსასრულობაა გადაშლილი და ჰგონია თუ ერთს ვერ შეეგუება, მეორეს მოჰკიდებს ხელს, ხოლო აქაც თუ არ გაუმართლდა იმედი... პროფესიების მეტი რა არის!...

მაგრამ მომავლის ამ ბინდში შუქივით გაიკიაფებს სიტყვები, რომლებითაც ტექნიკუმი მას მიმართავს: პროფესიის არჩევისას უპირატესობა უნდა მიეანიჭოთ იმ დარგს, რომელიც უფრო მეტად მოგცემს საშუალებას მაქსიმალურად გამოავლინოთ ჩვენი ნიჭი და ენერგია, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება ჩვენს პირად ხასიათსა და თავისებურებებს. პროფესიის სწორად შერჩევა ბედნიერების საწინდარია.

და მართლაც „პროფესიის არჩევა სერიოზული ნაბიჯია, არანაკლებ სერიოზული, ვიდრე ქორწინება. არაფერი არ არის იმაზე უკეთესი, ვიდრე საყვარელი საქმით გამოწვეული კმაყოფილების გრძნობა, — წერდა ერთერთი მწერალი. — და რაკი ცხოვრების სიძნელეებს შეეჩეხები, შენი პროფესია შენს გვერდით არის, როგორც ყველაზე საიმედო მეგობარი“.

აი მორცხვად შემოაღო ჯაბუკმა დირექტორის კაბინეტის კარი. ჩანს, შესასვლელი განცხადების შემოტანა სურს, თანაც ვერ გაუბედნია — ათასგვარი ვიმპელებით, თასებით, ალბომებით, დიპლომებით აფერადებული კაბინეტის სიღრმეში მაგიდასთან დგას ახოვანი, ლამაზი, ოდნავ ქერა, ჯარმაგი კაცი, როგორც ჯაბუკს უთხრეს — დირექტორი. იგი გამოდის მომსვლელის შესაგებებლად, უსიტყვოდ უწვდის დიდს, ფიფქივითი ფართო ხელს.

— გამარჯობა შენი, ჯერ ხელი მომე! ო, ყოჩაღ, ნამუშევარი ხელი გაქვს, კოჭრებიც არის... მაშ, მიწა გყვარებია! — ჯაბუკი თვალებს აცეცებს, სახეზე კმაყოფილების ღიმილი ეფინება, რომ დირექტორს ჰყვარებია მუშა კაცი. — მიწის სიყვარული, მაღალი სიყვარულია, — განაგრძობს დირექტორი. მე ვიყავი მაიაკოვსკში და იქ ერთ მიწის მუშასთან წამიყვანა ჩემმა მოსწავლემ. განმაცვიფრა იმ კაცმა მიწის დამუშავების თავისი მაღალი კულტურით. ვენახი ხომ ვენახია, რა მცენარეს არ ნახავ მის პატარა სანერგეში! როცა ნერგსა მთხოვენ, ნერგი კი არა, ის მიწა მენანება, ნერგს თან რომ მიჰყვებაო. აი ასე უნდა გიყვარდეს კაცს მიწა...

„ავშენდი, — გაუღეგა ჯაბუკს, ეს რა კაი დირექტორი ყოფილა, უბრალო, ენაწყლიანი, დამიმეგობრდა კიდეც. მიმიღებს აბა რა“.

მაგრამ არავისგან ისე მკაცრად არ მოუთხოვია ცოდნა დირექტორს გამოცდაზე, როგორც ამ ჯაბუკს — გიორგი ცინდელიანს მოსთხოვა — მიწის მოყვარეს საიმისო ცოდნაც უნდა ჰქონდეს, ბიჭოო. „ხოლო ეს რა კაი დირექტორი ყოფილაო“, ეს პირველი შთაბეჭდილება სწორედ გაუმართლდა გიორგის: — ერთ მშვენიერ დღეს ჭარმაგმა სვანმა შეაღო სამასწავლებლო ოთახის კარი: ერთი ამ ქაღალდის გიმომზადებინა დამანახეთ, ჭუბერიდან ჩამოვსულვარ სამადლობელოდ, აქაური მოსწავლე ვაჟის მამა ვარო. მადლობა, რომ ასეთი გულთბილი წერილი გამომიგზავნეთო...

ყველანი გაკვირვებით და სიხარულით შეეგებნენ, დირექტორის კაბინეტში შეუძღვნენ, სკამი მიართვეს და ამბავი გამოკითხეს.

ეს იყო ცინდელიანის მამა — ზაურბეგი, მესტიის რაიონიდან აქ მასწავლებლებისათვის მადლობის სათქმელად და შვილის სანახავად ჩამოსული.

— თქვენ მადლობა თქვენი ბიჭითი ვაჟიშვილით გაქვთ გადახდილი, პატივცემულო ზაურბეგ, — უთხრა დირექტორმა. — ხომ გაგიგიათ ქართული ანდაზა: ხილთა განცხადების შემოტანა სურს, თანაც ვერ გაუბედნია — ათასგვარი ვიმპელებით, თასებით, ალბომებით, დიპლომებით აფერადებული კაბინეტის სიღრმეში მაგიდასთან დგას ახოვანი, ლამაზი, ოდნავ ქერა, ჯარმაგი კაცი, როგორც ჯაბუკს უთხრეს — დირექტორი. იგი გამოდის მომსვლელის შესაგებებლად, უსიტყვოდ უწვდ